თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და
საგადასახადო საქმეთა კოლეგიას
მის: ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის ქ. № 7ა

მოსარჩელე – ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს წარმომადგენელის
პავლე აბაიაძის

შუამდგომლობა

მოგახსენებთ, რომ თქვენს წარმოებაშია საქმე, მოსარჩელე ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს სარჩელისა გამო, მოპასუხე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, საქართველოში რეგისტრირებული "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის" ფილიალი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია "საქართველო"-ს მიმართ, მესამე პირი - ს.ს. "საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია" (საქმე №3ა/307-03წ).

2004 წლის 20 თებერვალს სასამართლომ დააკმაყოფილა ჩემი შუამდგომლობა და საშუალება მომცა გავცნობოდი საქმის მასალებს და არსებული მტკიცებულებებს. როგორც მოგეხსენებათ მოსარჩელეს სარჩელის აღძვრის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს ის, რომ საქართველოს მოქმედი კანონდებლობის დარღვევით, გარემოს დაცვის სამინისტრომ 2002 წლის 30 ნოემბერს გასცა გარემოსდაცვითი ნებართვა №0011 ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიაზე ისე, რომ არ შესრულა საქართველოს კანონის "გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ" მოთხოვნა, კერძოდ არ უზრუნველყო პროექტის ინვესტორის საქმიანობის განხორციელების საკითხებთან დაკავშირებული საჯარო განხილვა.

მოპასუხე მხარეს - სამინისტროს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის დასადასტურებლად წარმოდგინა 2004 წლის 4 თებერვალს წერილობითი მტკიცებულება - 2002 წლის 29 ოქტომბრის ოქმი "გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან და მოწვეულ ექსპერტებთან, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის განხილვასთან დაკავშირებით" ჩატარებული შეხვედრის შესახებ.

საქმეში არსებული დოკუმენტების გაცნობის შედეგად მიმაჩნია, რომ აღნიშნულ ოქმში ასახული ფაქტობრივი გარემოებები არის გაყალბებული და შეხვედრა საერთოდ არ შემდგარა, რადგან:

1. თვითონ მოსარჩელე მხარე უარყოფს 2002 წლის 29 ოქტომბერს "გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან და მოწვეულ ექსპერტებთან, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის განხილვასთან დაკავშირებით" ჩატარებულ შეხვედრაში მონაწილეობას.

2. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ნიდერლანდების გარემოზე ზემოქმედების შეფასების კომისიის 2004 წლის 9 თებერვლის №R06-04/Kh/lw წერილით ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-სადმი და გარემოს დაცვის სამინისტროს 2003 წლის 12 თებერვლის №13-12/35 წერილის ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-სადმი თანდართული დანართის მე-2 და მე-5 გვერდებზე არსებული ინფორმაციით დასტურდება, რომ

ოქმში მითითებული ნიდერლანდების გარემოზე ზემოქმედების შეფასების კომისიის ექსპერტები საქართველოში იმყოფებოდნენ, მხოლოდ 2002 წლის 6 ნოემბრიდან 14 ნოემბრის ჩათვლით და შესაბამისად ისინი მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ 2002 წლის 29 ოქტომბერს გამართულ შეხვედრაში.

3. "გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის მიხედვით, გარემოს დაცვის სამინისტრო ვალდებულია პირველი კატეგორიის საქმიანობაზე პროექტის ინვესტორზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემამდე უზრუნველყოს პროცესში საზოგადოების მონაწილეობა და ამის თაობაზე პრესაში გამოაქვეყნოს ინვესტორის საქმიანობის შესახებ მოკლე ანოტაცია და ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების საკითხებთან დაკავშირებული საჯარო განხილვის დროისა და ადგილის შესახებ. სამინისტროს მიერ საქმეში წარმოდგენილი არ არის არცერთი მტკიცებულება იმისა, რომ მათ მიერ პრესაში გამოქვეყნებული იყო ინფორმაცია საჯარო განხილვის დროისა და ადგილის შესახებ, კერძოდ 2002 წლის 29 ოქტომბერს სამინისტროში გასამართი შეხვედრის თაობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ 2004 წლის 20 იანვარს სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელე მხარეს შუამდგომლობა საქმეზე მოწმის სახით "კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი"-ს თავმჯდომარის ქალბატონ ნანა ჯანაშიას და ამავე ორგანიზაციის ელექტრონული ქსელის საქართველოს კოორდინატორის ქალბატონ ნინო თევზაძის მოწმის სახით გამოძახების თაობაზე, მიმაჩნია, რომ აღნიშნული პირების შესაბამისი ჩვენების მოსმენა მნიშვნელოვანია ოქმში დაფიქსირებული ყალბი გარემოებების დასადგენად, რამეთუ ოქმში მითითებულია, რომ თითქოს შეხვედრას ესწრებოდნენ ზემოთ დასახელებული პირები და თითქოს ინფორმაცია შეხვედრის თაობაზე გავრცელებული იქნა "კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი"-ს ელექტრონული ქსელის მეშვეობით. აღნიშნული მოწმეები დაადასტურებენ იმ ფაქტს, რომ სადაო საკითხზე გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ საერთოდ არ ჩატარებულა საჯარო განხილვა და, რომ ინფორმაცია 2002 წლის 29 ოქტომბერს შემდგარი შეხვედრის თაობაზე არ გავრცელებულა "კავკასიის გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელის" ელექტრონული ქსელის მეშვეობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ საქმეზე მოწმის სახით უნდა იქნენ გამოძახებული "კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი"-ს თავმჯდომარე ქალბატონი ნანა ჯანაშია და ამავე ორგანიზაციის ელექტრონული ქსელის საქართველოს კოორდინატორი ქალბატონი ნინო თევზაძე და ასევე, დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიემართოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს რათა დადგინდეს: 2002 წლის 29 ოქტომბრის შეხვედრის ოქმში დაფიქსირებულ ექსპერტებზე, როდის გაიცა შესაბამისი ვიზა და მათ მიერ როდის იქნა გადმოკვეთილი 2002 წლის განმავლობაში საქართველოს სახელწიფო საზღვარი.

ზემოაღნიშნული ინფორმაციის მიღების შემდეგ შესაძლებელი გახდება სრულყოფილად დადგინდეს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი 2002 წლის 29 ოქტომბრის შეხვედრის ოქმში დაფიქსირებული გარემოებების სიყალბე.

რადგან, საქმეში არსებული მასალების გაცნობის შემდგომ მომეკა საშუალება მხოლოდ დღეგანდელ პროცესზე მომემართა შუამდგომლობით, რის უფლებასაც მანიჭებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის პირველი პუნქტი, ვშუამდგომლობ:

1. იმისათვის, რომ საქმეზე მიღებული იქნას ობიექტური გადაწყვეტილება, საქმეზე მოწმის სახით გამოძახებული იქნენ "კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი"-ს თავმჯდომარე ქალბატონი ნანა ჯანაშია და ამავე ორგანიზაციის ელექტრონული ქსელის საქართველოს კოორდინატორი ქალბატონი ნინო თევზაძე
2. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად სასამართლომ მოითხოვოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან და საქართველოს

სახლვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტიდან ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ 2002 წლის 29 ოქტომბრის შეხვედრის ოქმში დაფიქსირებულ ექსპერტებზე, როდის გაიცა შესაბამისი ვიზა და მათ მიერ როდის იქნა გადმოკვეთილი 2002 წლის განმავლობაში საქართველოს სახელწიფო საზღვარი, რათა დადგინდეს ჩემს მიერ მიწნეული 2002 წლის 29 ოქტომბრის შეხვედრის ოქმის სიყალბე.

პატივისცემით,

წარმომადგენელი:

პავლე აბაიაძე